



საქართველოს კონტროლის პალატის აუდიტის

აქტი

№ 24/00

„14“ მაისი 2010

ქ. თბილისი

“ვ ა მ ტ კ ი ც ე პ”

ეკონომიკური საქმიანობის სფეროს
აუდიტის დეპარტამენტის უფროსი

ილია გოცირიძე

„13“ მაისი 2010 წელი

ეგზ. N2

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროში საქართველოს
2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ფინანსური (კამერალური)
აუდიტის ჩატარების შესახებ

შინაარსი/საძიებელი:

ნაწილი I – შესავალი გვ.2

ნაწილი II – ძირითადი ტექსტი გვ.3

1. მიღებული საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის მდგომარეობა:

1.1 სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების გადანაწილების, ასევე მათი
საკასო და ფაქტობრივი შესრულების მდგომარეობა გვ.3

1.2 სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული სარეზერვო და სხვა მიზნობრივი
ფონდებიდან სახსრების გამოყოფისა და ათვისების მდგომარეობა გვ.14

1.3 გრანტის (ფულადი და სასაქონლო) მიღების, ათვისების და ანგარიშგებაში
მოქმედი სტანდარტების შესაბამისად ასახვის მდგომარეობა გვ.15

- 1.4 დებიტორულ-კრედიტორული დავალიანებების მოქმედ სტანდარტებთან შესაბამისობის მდგომარეობა და რეალობა გვ.16
2. ფინანსური ანგარიშებისა და ანგარიშგების შედგენის შესაბამისობა მოქმედ სტანდარტებთან და მათი წარდგენის მდგომარეობა გვ.19
3. მხარჯავი დაწესებულების მიერ „საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული პრიორიტეტებისა და ამ პრიორიტეტების მისაღწევად განხორციელებული პროგრამებისა და ღონისძიებების შედეგების მდგომარეობა გვ.20
- ნაწილი III- აუდიტის აქტის სამართლებრივი სტატუსი, პასუხისმგებლობები და უფლებამოსილებანი გვ.22
- ნაწილი IV - ხელმოწერები გვ.22

ნაწილი I – შესავალი

ფინანსური აუდიტის საფუძველი - საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის 2010 წლის 4 მარტის N13/43 ბრძანება.

აუდიტის ჯგუფი - საქართველოს კონტროლის პალატის (ეკონომიკური საქმიანობის სფეროს აუდიტის დეპარტამენტი) უფროსი აუდიტორი - ანა ალავერდაშვილი (ჯგუფის ხელმძღვანელი) აუდიტორები - ზვიად ლეჟავა და გიორგი კაპანაძე.

აუდიტის პერიოდი - 2009 წლის 1 იანვრიდან 2010 წლის 1 იანვრამდე.

აუდიტის სახე - ფინანსური (კამერალური).

აუდიტის მეთოდი - წარმოდგენილი ინფორმაციის ანალიზი.

აუდიტის პროგრამით გათვალისწინებული საკითხები აუდიტის ჯგუფის წევრების მიერ შესწავლილ იქნა ერთობლივად.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს იურიდიული მისამართია: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი N6 ტელ: 37-80-09; ფაქსი: 37-80-13. www.maf.ge.

აუდიტი დაიწყო 2010 წლის 4 მარტს დამთავრდა 2010 წლის 26 მარტს.

გამოყენებული ნორმატიული აქტების ნუსხა წარმოდგენილია დანართის სახით.

შემოკლებანი:

1. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო - სამინისტრო;
2. საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრი – მინისტრი;
3. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო – ფინანსთა სამინისტრო;
4. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური – სახაზინო სამსახური;
5. „საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონი – წლიური საბიუჯეტო კანონი;
6. საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სსიპ.
7. სსიპ - „მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრი“ – „საკოორდინაციო ცენტრი“

ნაწილი II – ძირითადი ტექსტი

1. მიღებული საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის მდგომარეობა:

1.1. აუდიტის შედეგების მიხედვით დადგენილი გარემოებები და შეფასება:

1. სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების გადანაწილების, ასევე მათი საკასო და ფაქტობრივი შესრულების მდგომარეობა

საქართველოს მთავრობის 2009 წლის 18 თებერვლის N26 დადგენილებით დამტკიცებული, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს დებულების თანახმად, სამინისტროს სისტემაში შედიან: ა) სამინისტროს სრუქტურული ქვედანაყოფები, რომელთა ერთიანობა ქმნის სამინისტროს ცენტრალურ აპარატს; ბ) სამინისტროს ტერიტორიული ორგანოები; გ) სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახური და დ) საჯარო სამართლის იურიდიული პირები: ვაზისა და ღვინის დეპარტამენტი „სამტრესტი“; საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორია და მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების

პროექტების საკოორდინაციო ცენტრი, რომელთა სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

ინფორმაცია, სამინისტროს მიერ წარდგენილი 2009 წლის საბიუჯეტო განაცხადის შესახებ, დამტკიცებული ბიუჯეტის, წლიური საბიუჯეტო კანონით დამტკიცებული ასიგნებების მთლიან მოცულობაში განხორციელებული ცვლილებებისა და დაზუსტებული ბიუჯეტის შესახებ მოცემულია წინამდებარე ცხრილში და ასევე გამოსახულია გრაფიკულად:

(ათას ლარებში)

ორგანიზაციული კოდი	საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლები	2009 წლის წარდგენილი განაცხადი	2009 წლის დამტკიცებული ბიუჯეტი I (30.12.2008 წ.)	2009 წლის დამტკიცებული ბიუჯეტი II (11.07.2009 წ.)	2009 წლის დამტკიცებული ბიუჯეტი III (04.12.2009 წ.)	2009 წლის დაზუსტებული ბიუჯეტი
1	2	3	4	5	6	7
37 00	საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო	88 043,6	88 043,6	113 248,5	93 553,4	86 257,4
	მომუშავეთა რიცხოვნობა	484	484	484	484	484
1	ხარჯები	47 632,7	47 608,7	81 753,3	64 997,1	69 321,1
1.1	შრომის ანაზღაურება	4 976,7	4 976,7	4 976,7	4 976,7	5 384,4
1.2	საქონელი და მომსახურება	8 683,0	8 683,0	7 885,4	6 569,4	5 983,7
1.5	სუბსიდიები	18 753,0	14 304,0	11 436,7	7 286,3	7 136,3
1.6	გრანტები	0	4 425,0	7 954,0	5 556,2	5 556,2
1.7	სოციალური უზრუნველყოფა	20,0	20,0	20,0	20,0	25,0
1.8	სხვა ხარჯები	15 200,0	15 200,0	49 480,5	40 588,5	45 235,5
2	არაფინანსური აქტივების ზრდა	28 910,9	28 934,9	7 630,2	3 777,9	3 857,9
3	ფინანსური აქტივების ზრდა	11 500,0	11 500,0	23 865,0	24 778,4	13 078,4
4	ვალდებულებების კლება	0	0	0	0	0

(ათას ლარებში)



აუდიტის პერიოდში, სამინისტროს მიერ, იმ პერიოდში მოქმედი „საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე განხორციელებულია 12 ცვლილება (ხარჯთაღრიცხვის ცვლილების ცნობები N42, N79, N284, N398, N436, N472, N629, N638, N656, N660, N673, N744). ცვლილებების საერთო მოცულობამ 6 111,7 ათასი ლარი შეადგინა, რაც შესაბამისობაშია ზემოაღნიშნული კანონით დადგენილ ნორმასთან (10%).

„საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე 2009 წლის 4 დეკემბრის N2229-II თანახმად, სამინისტროს დამტკიცებულმა ასიგნებამ შეადგინა 93 553,4 ათასი ლარი, ხოლო პერიოდის ბოლოს დაზუსტებულმა გეგმამ კი - 86 257,4 ათასი ლარი (7 296,0 ათასი ლარით ნაკლები). აღნიშნული გეგმის დაზუსტება განხორციელდა ფინანსთა სამინისტროს საბიუჯეტო დეპარტამენტის 2009 წლის 19 ივნისის N51 და 18 სექტემბრის N508 ხარჯთაღრიცხვის ცნობების საფუძველზე, კერძოდ: ერთ შემთხვევაში, საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან (კოდი 23 08) 2009 წლის 16 ივნისის N438 განკარგულებით გამოყოფილ იქნა სამინისტროსთვის (კოდი 37 01 01) 30,0 ათასი ლარი, ხოლო მეორე შემთხვევაში სამინისტროს, პროგრამა - „მეღვინეობის განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებების“ ასიგნებიდან (კოდი 37 03 02) - 7 326,0 ათასი ლარი გადანაწილებული იქნა „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის“ ასიგნებაში (კოდი 23 11) .

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტროს დაზუსტებულმა ბიუჯეტმა, აგრეთვე საკასო და ფაქტობრივმა ხარჯებმა, ნაერთი ბალანსის შესაბამისი ფორმების მიხედვით მიიღო შემდეგი სახე:


(ათას ლარებში)

დასახელება	დაზუსტებული გეგმა	მოთხოვნა	გადახდა	ფაქტობრივი ხარჯი	სხვაობა გადახდასა და მოთხოვნას შორის (4-3)	სხვაობა ფაქტობრივ ხარჯსა და გადახდას შორის (5-4)	ათვისება (%) (4/2*100)
1	2	3	4	5	6	7	8
სულ ასიგნება	86 257,4	75 160,7	75 245,2	-	84,5	-	87,2

1	2	3	4	5	6	7	8
ხარჯები მათ შორის:	69 321,1	63 120,6	63 193,9	64 579,2	73,3	1 385,3	91,1
შრომის ანაზღაურება	5 384,4	5 367,1	5 367,1	5 367,0	0	0,06	99,6
საქონელი და მომსახურება	5 983,7	5 339,6	5 339,6	5 926,7	0	587,1	89,2
სუბსიდიები	7 136,3	4 688,1	4 761,3	4 756,7	73,3	-4,6	66,7
გრანტები	5 556,2	5 296,1	5 296,1	5 518,0	0	221,8	95,3
სოციალური უზრუნველყოფა	25,0	24,97	24,97	24,99	0	0	99,8
სხვა ხარჯები	45 235,5	42 404,8	42 404,8	42 985,8	0	581,0	93,7
არაფინანსური აქტივების ზრდა	3 857,9	3 193,8	3 205,0	-	11,2		83,1
ფინანსური აქტივების ზრდა	13 078,4	8 846,3	8 846,3	-	0		67,6

სამინისტროს დამტკიცებული და დაზუსტებული ბიუჯეტის გეგმებისა და ასევე გადახდის (საკასო ხარჯი) შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია გრაფიკულად:

(ათას ლარებში)



თითოეული საბიუჯეტო ორგანიზაციის მიხედვით, საკასო და

ფაქტობრივი შესრულების მდგომარეობა წარმოდგენილია ცხრილების სახით:

1. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემა (კოდი 37 01)

(ათას ლარებში)

დასახელება	დაზუსტებული გეგმა	მოთხოვნა და გადახდა	ფაქტობრივი ხარჯი	სხვაობა ფაქტობრივ ხარჯსა და გადახდას შორის (4-3)	ათვისება (%) (3/2*100)
1	2	3	4	5	6
სულ ასიგნება	46 979,3	43 748,3	-	-	93,1
ხარჯები მათ შორის:	45 269,4	42 096,4	42 773,5	677,0	93
შრომის ანაზღაურება	2 456,7	2 439,4	2 439,3	-0,1	99,3
საქონელი და მომსახურება	3 072,2	2 718,0	2 814,2	96,1	88,5
სოციალური უზრუნველყოფა	25,0	25,0	25,0	0	100
სხვა ხარჯები	39 715,4	36 914,0	37 495,0	581,0	92,9
არაფინანსური აქტივების ზრდა	144,9	86,9	-	-	60
ფინანსური აქტივების ზრდა	1 565,0	1 565,0	-	-	100

ფაქტობრივ ხარჯსა და გადახდას შორის (677,0 ათასი ლარი) სხვაობა გამოწვეულია შემდეგი გარემოებებით:

„საქონელი და მომსახურების“ მუხლში - გახარჯულია წინა პერიოდში შეძენილი მარაგები, საწყობში დარჩენილია გაუხარჯავი მარაგები და საწვავის ტალონები, ასევე წინა პერიოდში წინასწარ გადახდის ფარგლებში 2009 წელს შესრულებულია სამუშაოები;

„სხვა ხარჯების“ მუხლში - წინა პერიოდში წინასწარ გადახდის ფარგლებში 2009 წელს შესრულებულია სამუშაოები.

1. სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მეცნარეთა დაცვის
ეროვნული სამსახური (კოდი 37 02)

(ათას ლარებში)

დასახელება	დაზუსტებული გეგმა	მოთხოვნა და გადახდა	ფაქტობრივი ხარჯი	სხვაობა ფაქტობრივ ხარჯსა და გადახდას შორის (4-3)	ათვისება (%) (3/2*100)
1	2	3	4	5	6
სულ ასიგნება	7 903,2	7 359,0	-	-	93,1
ხარჯები მათ შორის:	5 855,2	5 565,2	6 056,2	491,0	95,1
შრომის ანაზღაურება	2 927,7	2 927,7	2 927,7	0	100
საქონელი და მომსახურება	2 911,5	2 621,5	3 112,5	491,0	90
სხვა ხარჯები	16,0	16,0	16,0	0	100
არაფინანსური აქტივების ზრდა	2 048,0	1 793,8	-	-	87,6

ფაქტობრივ ხარჯსა და გადახდას შორის (491,0 ათასი ლარი) სხვაობა გამოწვეულია შემდეგი გარემოებებით:

დებიტორ-კრედიტორულ დავალიანებების ბრუნვის სხვაობით, წინა პერიოდის მარაგების ხარჯვით და შეძენილი მარაგებით;

2. სსიპ - ვაზისა და ღვინის დეპარტამენტი „სამტრესტი“ (კოდი 37 03)

(ათას ლარებში)

დასახელება	დაზუსტებული გეგმა	მოთხოვნა და გადახდა	ფაქტობრივი ხარჯი	სხვაობა ფაქტობრივ ხარჯსა და გადახდას შორის (4-3)	ათვისება (%) (3/2*100)
1	2	3	4	5	6
სულ ასიგნება	12 014,0	10 040,1	-	-	83,5
ხარჯები მათ შორის:	8 914,0	7 006,8	7 002,3	-4,5	78,6
სუბსიდიები	3 410,0	1 532,0	1 527,5	-4,5	44,9
სხვა ხარჯები	5 504,0	5 474,8	5 474,8	0	100
არაფინანსური აქტივების ზრდა	100,0	33,3	-	-	33,3
ფინანსური აქტივების ზრდა	3 000,0	3 000,0	-	-	100

სხვაობა, ფაქტობრივ ხარჯსა და გადახდას შორის (-4,5 ათასი ლარი) გამოწვეულია: (-0,4) ათასი ლარის დებიტორული დავალიანების წარმოქმნით, (+4,8) ათასი ლარის დებიტორული დავალიანების ჩამოწერით და მარაგების შეძენესა და ჩამოწერას შორის წარმოქმნილი სხვაობით (-8,9) ათასი ლარის ოდენობით, (ბრუნვა $4,8-0,4-8,9=-4,5$).

3. სსიპ - საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორია
(კოდი 37 04)

(ათას ლარებში)

დასახელება	დაზუსტებული გეგმა	მოთხოვნა	გადახდა	ფაქტობრივი ხარჯი	სხვაობა გადახდასა და მოთხოვნას შორის (4-3)	სხვაობა ფაქტობრივ ხარჯსა და გადახდას შორის (5-4)	ათვისება (%) (4/2*100)
1	2	3	4	5	6	7	8
სულ ასიგნება	1 900,0	1 726,7	1 726,1	-	-0,6	-	90,8
ხარჯები მათ შორის:	1 700,0	1 695,2	1 694,6	1 699,9	-0,6	5,4	99,6
სუბსიდიები	1 700,0	1 695,2	1 694,6	1 699,9	-0,6	5,4	99,6
არაფინანსური აქტივების ზრდა	200,0	31,5	31,5	-	0	-	15,7

გადახდასა და მოთხოვნას შორის სხვაობა 0,6 ათას ლარი, წარმოადგენს ვალდებულებას იმ ორგანიზაციების მიმართ, რომლებმაც 2009 წლის დავალიანების დამადასტურებელი დოკუმენტები ლაბორატორიაში წარადგინეს 2009 წლის 31 დეკემბრის შემდეგ, რის გამოც შეფერხდა აღნიშნული დავალიანების დაფარვა და შესაბამისად ბალანსში ასახულია კრედიტორული დავალიანებების სახით.

ფაქტობრივ ხარჯსა და გადახდას შორის „სუბსიდიის“ მუხლში სხვაობა, (5,4 ათასი ლარი) გამოწვეულია: მცირეფასიანი ინვენტარის შეძენით, წინა პერიოდში შეძენილი საწვავისა და ა/მანქანის რეცხვის ტალონების ჩამოწერით, დიაგნოსტიკუმების და ლაბორატორიული მასალების (ნაწილობრივ) და

მარაგების (საცდელი ცხოველები, სათადარიგო ნაწილები და სახარჯი მასალები) ჩამოწერით.

5. უცხოეთიდან მიღებული დაფინანსების წყაროებითა და გრანტებით განსახორციელებელი საინვესტიციო პროექტები და ამ პროექტების თანამონაწილეობასა და თანადაფინანსებაზე გათვალისწინებული ასიგნებები (კოდი 37 05)

(ათას ლარებში)

დასახელება	დაზუსტებული გეგმა	მოთხოვნა	გადახდა	ფაქტობრივი ხარჯი	სხვაობა გადახდასა და მოთხოვნას შორის (4-3)	სხვაობა ფაქტობრივ ხარჯსა და გადახდას შორის (5-4)	ათვისება (%) (4/2*100)
1	2	3	4	5	6	7	8
სულ ასიგნება	17 461,0	12 286,6	12 371,6	-	85,1	-	70,8
ხარჯები მათ შორის:	7 582,5	6 756,9	6 830,8	7 047,3	73,9	216,4	90,1
სუბსიდიები	2 026,3	1 460,8	1 534,8	1 529,3	73,9	-5,5	75,7
გრანტები	5 556,2	5 296,1	5 296,1	5 518,0	0	221,9	95,3
არაფინანსური აქტივების ზრდა	1 365,1	1 248,3	1 259,5	-	11,2	-	92,2
ფინანსური აქტივების ზრდა	8 513,4	4 281,3	4 281,3	-	0	-	50,2

გადახდასა და მოთხოვნას შორის სხვაობა (85,1 ათასი ლარი) გამოწვეულია შემდეგით: 1) (პლიუს) 60,3 ათასი ლარი და 21,0 ათასი ლარი - გადახდილია კომერციულ ბანკებში განთავსებული პროექტების, შესაბამისად სპეციალური და ესქროუ ანგარიშებიდან; 2) (პლიუს) 4,1 ათასი ლარი - პროექტის სხვადასხვა წყაროებს შორის წარმოქმნილი დავალიანება; 3) (პლიუს) 0,2 ათასი ლარი - სავალუტო დავალიანების გადაფასების ოდენობა და 4) (მინუს) 0,5 ათასი ლარი - დონორის წყაროებიდან გადახდილი ავანსის თანხები.

ფაქტობრივ ხარჯსა და გადახდას შორის „სუბსიდიის“ მუხლით სხვაობა განპირობებულია, დებიტორული და კრედიტორული დავალიანებების წარმოქმნითა და მატერიალური მარაგების ანგარიშებზე თანხების ბრუნვით, ხოლო

„გრანტების მუხლში“ კი სამშენებლო სამუშაოებზე კონტრაქტით გათვალისწინებული დეფექტების ლიკვიდაციისთვის დაკავებული თანხებით.

2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონში შეტანილი და სამინისტროს ასიგნებების ფარგლებში განხორციელებული ცვლილებების, ასევე საფინანსო სამსახურის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის ანალიზით გამოიკვეთა შემდეგი გარემოებები:

დამტკიცებულ და დაზუსტებულ ასიგნებებს შორის არსებული სხვაობები განპირობებულია შემდეგით:

პროგრამა „სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის განახლება“ (37 01 18 ორგ. კოდი) - თავდაპირველი დამტკიცებული (30,12,08 წ.) ბიუჯეტის კანონით განსაზღვრული იყო 22 409,9 ათასი ლარის ასიგნება, 2009 წლის 11 ივლისის ბიუჯეტის კანონში შეტანილი ცვლილებით აღნიშნული ასიგნება შემცირებულ იქნა 9,9 ათას ლარამდე, ხოლო 22 400,0 ათასი ლარი გადანაწილებული იქნა სხვა ორგანიზაციულ კოდებში.

2008 წლის 25 დეკემბერს საქართველოს მთავრობასა და იაპონიის მთავრობას შორის გაფორმებული საერთაშორისო შეთანხმების და საქართველოს მთავრობის 2009 წლის 29 სექტემბრის N706 განკარგულების საფუძველზე სოფლის მეურნეობის სამინისტრო განისაზღვრა გრანტისა და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის მიმღებ ორგანოდ. შესაბამისად, ტექნიკის განბაჟება უნდა განხორციელებულიყო საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ პროგრამა „სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის განახლება“ (ორგანიზაციული კოდი 37 01 18) ფარგლებში, სადაც გამოყოფილი 9,9 ათასი ლარი არ იყო საკმარისი ტექნიკის განბაჟებისათვის საჭირო ხარჯების დასაფინანსებლად და აღნიშნული ხარჯები გაიზარდა 50,0 ათასი ლარით.

ამასთან, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის დიდი ნაწილის შემოტანა დაგეგმილი იყო 2009 წელს, თუმცა გარკვეული ობიექტური მიზეზებით განხორციელდა 2010 წელს, რამაც განაპირობა 54,7 ათასი ლარის აუთვისებლობა.

პროგრამა „მელვინეობის განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებები“ (ორგ. კოდი - 37 03 02) - თავდაპირველი დამტკიცებული (30,12,08 წ.) ბიუჯეტის კანონით ასიგნება განსაზღვრული არ ყოფილა. 2009 წლის 11 ივლისის ბიუჯეტის კანონში

შეტანილი ცვლილებებით სამინისტროს მოთხოვნის საფუძველზე დამტკიცებული იქნა 14 700,0 ათასი ლარის ასიგნება (მათ შორის: 3 000,0 ათასი ლარი მთავრობის სარეზერვო ფონდიდან). 2009 წლის სექტემბერში სამინისტროს მოთხოვნის საფუძველზე თანხების აუთვისებლობის გამო ასიგნება შემცირებული იქნა 3 000,0 ათას ლარამდე. წარმოდგენილი განმარტების თანახმად, დამტკიცებულ და დაზუსტებულ ასიგნებებს შორის სხვაობა განაპირობა იმ გარემოებამ, რომ პროგრამაში მონაწილეობაზე სურვილი გამოთქვეს მხოლოდ ორმა კომპანიამ 3 000,0 ათას ლარზე. 4 374,0 ათასი ლარი გადატანილი იქნა პროგრამა „2009 წლის რთველის ხელშეწყობის ღონისძიებების“ დასაფინანსებლად და დანარჩენი 7 326,0 ათასი ლარით შემცირებული იქნა აღნიშნული პროგრამის დაფინანსება. ვინაიდან ღვინის საწარმოებიდან ვერ მოხდა სათანადო რაოდენობის ღვინომასალის ჩაბარება.

პროგრამა “2009 წლის რთველის ხელშეწყობის ღონისძიებები” (ორგ. კოდი 37 03 12) - თავდაპირველი დამტკიცებული (30,12,08 წ.) ბიუჯეტის კანონით ასიგნება განსაზღვრული არ ყოფილა. 2009 წლის 11 ივლისის ბიუჯეტის კანონში შეტანილი ცვლილებებით სამინისტროს მოთხოვნის საფუძველზე დამტკიცებული იქნა 10 000,0 ათასი ლარის ასიგნება. საქართველოს მთავრობის 2009 წლის 14 აგვისტოს N610 განკარგულებით, აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ყურძნის გადამამუშავებელ კომპანიებისათვის ჩაბარებულ 1 კგ ყურძენზე კომპანიის მიერ გადახდილი თანხის დამატებით ყურძნის ჩამბარებელ პირს აუნაზღაურებოდა 1 კგ: რქაწითელის ყურძენზე – 0,15 ლარი, საფერავზე – 0,25 ლარი, ალექსანდროული-მეჯურეთულზე – 1 ლარი. ყურძნის მოსალოდნელი მოსავლის მიხედვით, პროგრამის განსახორციელებლად საჭირო გახდა დამატებითი სახრების გამოყოფა (ზემოაღნიშნული 4 374,0 ათასი ლარი). 2009 წლის 4 დეკემბრის ბიუჯეტის კანონში შეტანილი ცვლილებებით ასიგნება შემცირებული იქნა 8 670,0 ათასი ლარით და დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 5 704,0 ათასი ლარი, რაც ათვისებული იქნა სრულად.

პროგრამა “ჰიბრიდული ჯიშის ნარგაობების ჩანაცვლების ღონისძიებები” (ორგ. კოდი - 37 03 13) დამტკიცებული ბიუჯეტის კანონით ასიგნება განსაზღვრული არ ყოფილა, ხოლო დაზუსტებულ გეგმაში გათვალისწინებული

იქნა 100,0 ათასი ლარი, ქვეყანაში ვაზის ნარგაობების განახლების, ჯიშობრივი გადახალისების, გამოთავისუფლებული ფართობების რაციონალური გამოყენების, ღვინოპოძუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და მევენახეობა-მეღვინეობის დარგის შემდგომი განვითარების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების დასაფინანსებლად.

სოფლის განვითარების პროექტი - (37 05 01 ორგანიზაციული კოდი) - თავდაპირველი დამტკიცებული (30,12,08 წ.) ბიუჯეტის კანონით განსაზღვრული იყო 16 500,0 ათასი ლარის ასიგნება, ხოლო დაზუსტებული გეგმით აღნიშნული ასიგნება შემცირდა 9 844,9 ათას ლარამდე. საიდანაც ათვისებული იქნა 5 146,0 ათასი ლარი. წარმოდგენილი განმარტების მიხედვით, კომერციული ბანკებიდან 2009 წელს სესხებზე მოთხოვნა მეტად დაბალი იყო, რისი პროგნოზირებაც ბიუჯეტის კანონის პროექტზე მუშაობისას (წინა წლის ზაფხულში), პრაქტიკულად შეუძლებელი იყო; გვიან მოეწერა ხელი სასესხო ხელშეკრულებებს მიკროსაფინანსო ორგანიზაციებთან; ამჟამად ვერ ხერხდება საგრანტო სისტემის ამუშავება – ცვლილება დაფინანსების ხელშეკრულებაში სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდთან ჯერ კიდევ არ არის რატიფიცირებული; ვერ მოხერხდა კონსულტანტის, ფრანკფურტის ბიზნესისა და ფინანსების სკოლისათვის გაწეული მომსახურების (პროექტში მონაწილე კომერციული ბანკებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების თრეინინგი) ანაზღაურება; ვერ მოხერხდა კიდევ ერთი საერთაშორისო საკონსულტაციო კომპანიის საბოლოო დაფინანსება, ვინაიდან საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ არ ჩათვალა მისაღებად კონსულტანტის მიერ წარმოდგენილი საბოლოო ანგარიში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტროს მიერ ბიუჯეტით დამტკიცებული ასიგნებების, საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და კოდებს შორის გადანაწილება მიგვანიშნებს, რომ ხარჯების საპროგნოზო მონაცემების განსაზღვრისას ადგილი აქვს არაზუსტ გათვლებსა და გაანგარიშებებს, რითაც მათ მიერ დასაგეგმი წლის ასიგნებისათვის პროგნოზის განსაზღვრისას არ არის გათვალისწინებული “საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ” საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის “ა” ქვეპუნქტის მოთხოვნა.

დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის არსებული სხვაობები (11097,4 ათასი ლარი) გამოწვეულია შემდეგი მიზეზებით:

ტერიტორიული ორგანოები – (37 01 02 ორგანიზაციული კოდი - 77,8 ათასი ლარი) სამინისტროს დაგეგმილი ჰქონდა კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვა, თუმცა მსოფლიო სასურსათო პროგრამამ სამინისტროს გადმოსცა კომპიუტერული მოწყობილობები, რითაც დაზოგილ იქნა სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრები.

პროგრამა “სამელიორაციო სისტემების რეაბილიტაცია” – (37 01 08 ორგანიზაციული კოდი - 2 957,0 ათასი ლარი) არ იქნა გათვალისწინებული სარეაბილიტაციო ახალი ობიექტების აღდგენა და შესაბამისად არ წარმოიქმნა მათთვის საპროექტო-სახარჯთადირიცხო დოკუმენტაციის დამუშავების აუცილებლობა. სს „ჰიდროსპეცგვირაბშენის“ მიერ სახელშეკრულებო ვადების დარღვევის გამო, ქვემო ქართლის და შიდა ქართლის ცალკეული სარეაბილიტაციო სამუშაოების დაუსრულებლობის გამო. ქვემო ქართლის რეგიონში, ბოლნისის მუნიციპალიტეტის კაზრეთის სარწყავი სისტემის რეაბილიტაციისას წარმოშობილი პრობლემების (ადრეული ხანის სამარხების აღმოჩენის, 2009 წლის მაისის თვეში რაიონში მოსული უხვი ნალექის, აგრეთვე ჩატარებულ სამუშაოთა სამართლებრივად დარეგულირების საკითხისა და სხვა გარემოებების) შედეგად სახელშეკრულებო ვადების 2010 წლის მაისისათვის გადაწევის გამო.

სსიპ ვაზისა და ღვინის დეპარტამენტი „სამტრესტი“ - (37 03 ორგანიზაციული კოდით - 1 974,0 ათასი ლარი) 2009 წელს სპეციალური ჰოლოგრამების შესყიდვა შეჩერებულ იქნა;

პროგრამა „ღვინის ლაბორატორიული კვლევა“ და პროგრამა „ქართული ღვინოპროდუქციის პოპულარიზაციის ხელშეწყობის ღონისძიებები“ - ვერ მოხერხდა ხელშეკრულების გაფორმება, პროგრამული თანხები დარჩა აუთვისებელი და გათვალისწინებული იქნა 2010 წლის ბიუჯეტში

2. სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული სარეზერვო და სხვა მიზნობრივი ფონდებიდან სახსრების გამოყოფისა და ათვისების მდგომარეობა

2009 წლის განმავლობაში სამინისტროს, საქართველოს

მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოეყო სულ 23 030,0 ათასი ლარი, აქედან ათვისებულია 19 810,4 ათასი ლარი, 3 000,0 ათასი ლარი აუდიტის პერიოდში სამინისტროს არ მიუღია, ხოლო 219,6 ათასი ლარი აღდგენილ იქნა მთავრობის სარეზერვო ფონდში, მათ შორის:

საქართველოს მთავრობის 2009 წლის 30 იანვრის N52 და 2009 წლის 3 მარტის N162 განკარგულებებით პროგრამა „მუნიციპალიტეტების დასახლებებში მცხოვრები ოჯახების მინერალური სასუქით (ამონიუმის გვარჯილა) უზრუნველყოფის ღონისძიებები“ დაფინანსდა 17 000,0 ათასი ლარით. წარმოდგენილი ცნობის თანახმად, შესყიდულია და მუნიციპალიტეტებს გადაეცათ 16 780,4 ათასი ლარის ღირებულების მინერალური სასუქი, ხოლო 219,6 ათასი ლარი აღდგენილია მთავრობის სარეზერვო ფონდში;

საქართველოს მთავრობის 2009 წლის 20 მაისის N375 განკარგულებით, პროგრამა „მეღვინეობის განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებების“ დასაფინანსებლად საკრედიტო რესურსად, ორ ეტაპად უნდა გამოყოფილიყო 6 000,0 ათასი ლარი (I ეტაპზე 3 000,0 ათასი ლარი, II ეტაპზე 3 000,0 ათასი ლარი). საკრედიტო ხელშეკრულება გაფორმდა მხოლოდ 3 000,0 ათას ლარზე, საიდანაც სესხის სახით - 1 500,0 ათასი ლარი გაცემულ იქნა შპს „რუჯზე“, ხოლო - 1 500,0 ათასი ლარი შპს „გუგულზე“. აღნიშნული თანხა ირიცხება სსიპ-„სამტრესტის“ დებიტორულ დავალიანებებში;

საქართველოს მთავრობის 2009 წლის 16 ივნისის N438 განკარგულებით „ქ. აშხაბადში სამუშაო ვიზიტით მივლინებული საქართველოს სამთავრობო დელეგაციის მიერ თურქმენეთის რესპუბლიკის მთავრობისთვის სამთავრობო საჩუქრების გადასაცემად საჭირო საქონლის შესასყიდად და ტრანსპორტირების ხარჯებისთვის“ გამოიყო 30,0 ათასი ლარი, რომელიც წარმოდგენილი ცნობის თანახმად გახარჯულია მიზნობრივად.

3. გრანტის (ფულადი და სასაქონლო) მიღების, ათვისების და ანგარიშგებაში მოქმედი სტანდარტების შესაბამისად ასახვის მდგომარეობა

წარმოდგენილი ცნობის თანახმად, სამინისტროს ფულადი გრანტი არ მიუღია, ხოლო საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2009 წლის

ნაერთი ბალანსის ფორმა N5-ში გრანტების გრაფაში ასახული თანხა 6870,9 ათასი ლარი მოიცავს საქართველოს მთავრობის 2009 წლის 29 სექტემბრის N706 განკარგულებით - საქართველოს მთავრობასა და იაპონიის მთავრობას შორის 2008 წლის 25 დეკემბერს ნოტების ურთიერთგაცვლის საფუძველზე იაპონიის მთავრობის მიერ საქართველოს მთავრობისათვის გამოყოფილი არასაპროექტო გრანტის (1,2 მილიარდი იენი) ფარგლებში სოფლის მეურნეობის სამინისტროსათვის გადაცემულ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ღირებულებას.

აღნიშნული გრანტის ფარგლებში სოფლის მეურნეობის სამინისტრომ 2009 წელს მიიღო: 30 ერთეული ტრაქტორი და 277 ერთეული სხვადასხვა სახის სასოფლო-სამეურნეო მანქანა-დანადგარები.

4. დებიტორულ-კრედიტორულ დავალიანებების მოქმედ სტანდარტებთან შესაბამისობის მდგომარეობა და რეალობა

სამინისტროს დებიტორული და კრედიტორული დავალიანებების შესახებ ინფორმაცია, ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით, მოცემულია წინამდებარე ცხრილში:

(ათას ლარებში)

დასახელება კოდი 37 00	ნაშთი 01.01.2009 წლის მდგომარეობით		ნაშთი 01.01.2010 წლის მდგომარეობით		2009 წელს წარმოშობილი		შენიშვნა
	დებიტი	კრედიტი	დებიტი	კრედიტი	დებიტი	კრედიტი	
1	2	3	4	5	6	7	8
სულ, მათ შორის:	46 802,5	4 772,9	48 969,2	5 428,9	10 278,4	718,2	
შრომის ანაზღაურება	26,1	2 472,5	26,1	2 444,3	0	0	
საქონელი და მომსახურება	3 341,3	965,5	3 145,1	936,3	0,9	4,7	
სუბსიდიები და გრანტები	7 171,2	1 334,9	7 175,9	1 869,8	15,9	535,0	
სხვა ხარჯები	3 486,0	0	2 590,5	178,5	1 415,3	178,5	
არაფინანსურ ი აქტივების ზრდა	0,7	0	0,7	0	0	0	
ფინანსური აქტივების ზრდა	32 777,2	0	36 030,9	0	8 846,3	0	

აუდიტის პერიოდში დებიტორულ-კრედიტორული დავალიანებები წარმოშობილია შემდეგი გარემოებებით:

- „სუბსიდიის“ და „გრანტების“ მუხლში 535,0 ათასი ლარის კრედიტორული დავალიანება წარმოადგენს „საკოორდინაციო ცენტრის“ (კოდი 37 05) მიერ სამშენებლო სამუშაოებზე კონტრაქტით გათვალისწინებული დეფექტების ლიკვიდაციისთვის დაკავებულ თანხებს;

- „სხვა ხარჯების“ მუხლი - პროგრამა „სამელიორაციო სისტემების რეაბილიტაციის“ (კოდი 37 01 08) ფარგლებში, საბანკო გარანტიების საფუძველზე წინასწარი ანაზღაურების გამო წარმოშობილია 1 415,3 ათასი ლარის დებიტორული დავალიანება. ამავე მუხლში იგივე კოდში წარმოქმნილია 178,5 ათასი ლარის კრედიტორული დავალიანება;


- „ფინანსური აქტივის ზრდა“ 8 846,3 ათასი ლარის ოდენობით განპირობებულია, სამინისტროს აპარატის მიერ 1 565,0 ათასი ლარის, სსიპ - ვაზისა და ღვინის დეპარტამენტ „სამტრესტის“ მიერ 3 000,0 ათასი ლარისა და „საკოორდინაციო ცენტრის“ მიერ 4 281,3 ათასი ლარის სესხების გაცემით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აპარატის მიერ სესხები გაცემულია იმ კომპანიებზეც, რომელთაც სესხები მიღებული ჰქონდათ 2007 წელს და ჯერ არ დაუფარავთ. აღნიშნულ სესხებს კონტროლს უწევს ფინანსთა სამინისტრო, ხოლო, რაც შეეხება 2004 წელს გაცემულ სესხებს და სხვა ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებში არსებულ დებიტორულ დავალიანებებს, მათი ამოღების მიზნით შეტანილია სარჩელები სასამართლოში.

ამრიგად, დებიტორული დავალიანების 74% მოდის „ფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით გაცემულ სესხებზე, ხოლო კრედიტორული დავალიანების 45% - „შრომის ანაზღაურების“ მუხლით 1996-2000 წლებში დარიცხულ და გაუცემულ ხელფასებზე.

დანარჩენი კრედიტორული დავალიანებები ძირითადად წარმოქმნილია ლიკვიდირებული სტრუქტურული ერთეულების საბალანსო მონაცემების გაერთიანებით.


დებიტორული დავალიანებების წარმოშობის დინამიკა წლების მიხედვით წარმოდგენილია გრაფიკულად:

(ათას ლარებში)



კრედიტორული დავალიანებების წარმოშობის დინამიკა წლების მიხედვით წარმოდგენილია გრაფიკულად:

(ათას ლარებში)



1.2 რეკომენდაცია:

სამინისტროს მიერ დასაგეგმი საბიუჯეტო წლის ხარჯების საპროგნოზო მონაცემები განსაზღვრული იქნას ზუსტი გათვლებისა და გაანგარიშებების საფუძველზე.

სამინისტროს ხელმძღვანელების მიერ, შემუშავებული და გატარებული იქნას დამატებითი ღონისძიებები ბალანსზე რიცხული დებიტორულ და კრედიტორულ დავალიანებათა შესამცირებლად და ახალ დავალიანებათა წარმოშობის აღმოსაფხვრელად.

2. ფინანსური ანგარიშებისა და ანგარიშგების შედგენის შესაბამისობა მოქმედ სტანდარტებთან და მათი წარდგენის მდგომარეობა

2.1 აუდიტის შედეგების მიხედვით დადგენილი გარემოებები და შეფასება:

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ნაერთი ბუღალტრული ბალანსები შედგენილია სამინისტროს სისტემის, სამინისტროს მმართველობისა და კონტროლის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებისა და სსიპ-ების მიერ წარდგენილი ბალანსების საფუძველზე. ამასთან მათ მიერ ანგარიშგების ფორმები (როგორც კვარტალურები ასევე წლიური) შედგენილია დამოუკიდებლად და წარდგენილი აქვთ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროში ვადების დაცვით.

სამინისტროს ნაერთი ბალანსის ციფრობრივი მონაცემების შედარებით სისტემის ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილ მონაცემებთან სხვაობები არ გამოვლენილა.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2009 წლის ნაერთი ბუღალტრული ანგარიშგებები (როგორც კვარტალურები ასევე წლიური) შედგენილია მოქმედი სტანდარტების შესაბამისად და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურში წარდგენილია ვადების დაცვით.

2009 წლის წლიური ნაერთი ბალანსის დანართ ფორმა N2-ში („ორგანიზაციის ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით“) ასახული არ არის არაფინანსურ აქტივებზე დარიცხული ცვეთა, ძირითადი კაპიტალის მოხმარების ფაქტობრივ ხარჯებში (5 542,5 ათასი ლარი), თუმცა აღნიშნული თანხა ასახულია, როგორც ბალანსის დანართ ფორმა N3-ში („წმინდა ღირებულების ანგარიშებზე თანხების მოძრაობა“) ისე ფორმა N5-ში („ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასავლის შესახებ“).

2.2 რეკომენდაცია:

სამინისტრომ, გაითვალისწინოს „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის N364 ბრძანების

მოთხოვნები და განახორციელოს ბალანსის დანართი ფორმების სრულყოფილად შევსება.

3. მხარჯავი დაწესებულების მიერ „საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული პრიორიტეტებისა და ამ პრიორიტეტების მისაღწევად განხორციელებული პროგრამებისა და ღონისძიებების შედეგების მდგომარეობა

3.1 აუდიტის შედეგების მიხედვით დადგენილი გარემოებები და შეფასება:

აუდიტის ჯგუფისთვის ცნობის სახით წარმოდგენილი იქნა სამინისტროს სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრულ პრიორიტეტებზე ათვისებული თანხების შესახებ ინფორმაცია, კერძოდ:

სასოფლო-სამეურნეო ინფრასტრუქტურის განვითარება; პროგრამა: „სამელიორაციო სისტემების რეაბილიტაცია“

- სამინისტროს დაკვეთით, შიდა ქართლში - სიონის არხის რეკონსტრუქციის სამუშაოებზე ათვისებულმა თანხამ შეადგინა - 1109,9 ათასი ლარი.

- გორის მუნიციპალიტეტში, სოფელ ნიქოზთან დასრულდა ტირიფონი-სალთვისის სარწყავი სისტემის სათავე ნაგებობის მშენებლობა, სადაც ათვისებულმა თანხამ შეადგინა - 5748,6 ათასი ლარი.

- ბაღდათის, მარნეულის და ბოლნისის მუნიციპალიტეტებში ჩატარებულ სამუშაოებზე ათვისებულმა თანხებმა შეადგინა, შესაბამისად 2667,4 ათასი ლარი, 1250,1 ათასი ლარი და 1574,4 ათასი ლარი.

პროგრამა: „სამელიორაციო სისტემების ფუნქციონირების ხელშეწყობის ღონისძიებები“

აღნიშნული პროგრამით გათვალისწინებული სახსრები მოხმარდა სამელიორაციო მომსახურების სახელმწიფო შპს-ების ფუნქციონირების ხელშეწყობას.

პროგრამა: „მუნიციპალიტეტების დასახლებებში მცხოვრები ოჯახების მინერალური სასუქით უზრუნველყოფის ღონისძიებები“

მუნიციპალიტეტების დასახლებებში მცხოვრები ოჯახებისათვის შესყიდულია 23 808,0 ათასი ლარის (მათ შორის, 17 000,0 ათასი ლარი გამოყოფილი იყო საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან) ღირებულების 47,1 ათას ტონამდე ამონიუმის გვარჯილა.

პროგრამა „სოფლის მეურნეობის დარგის გამოფენების მოწყობის ღონისძიებები“

პროგრამის ფარგლებში სამინისტრომ, მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა სოფლის მეურნეობის პროდუქციის საერთაშორისო გამოფენებში.

პროგრამა „რუსეთის აგრესიის შედეგად უსახლკაროდ დარჩენილი მოსახლეობის სასოფლო-სამეურნეო კულტურათა სათესლე მასალით უზრუნველყოფის ღონისძიებები“

460,0 ათასი ლარის ღირებულების 15 სახეობის სათესლე მასალა დაურიგდა უსახლკაროდ დარჩენილ 5 052 ოჯახს.

პროგრამა „ქართული ღვინოპროდუქციის პოპულარიზაციის ხელშეწყობის ღონისძიებები“

გაწეულია კონფერენციებში მონაწილეობის, საკონფერენციო დარბაზის მოწყობის ხარჯები.

პროგრამა „მეღვინეობის განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებები“

განხორციელდა ღვინომასალების ნაწილის შეძენა და გამოხდა საბრენდე სპირტებად.

პროგრამა „2009 წლის რთველის ხელშეწყობის ღონისძიებები“

ჩაბარებული ყურძნის ღირებულების ნაწილობრივ ანაზღაურებისთვის გაცემულ იქნა 5474,8 ათასი ლარის ვაუჩერი.

პროგრამა „სასურსათო პროდუქტების ლაბორატორიული კვლევა“
პროგრამა „ეპიზოტიის საწინააღმდეგო ღონისძიებები“ და პროგრამა „მცენარეთა
დაცვა“

ჩატარებულია შესაბამისი ღონისძიებები და ლაბორატორიული კვლევები.

ნაწილი III - აუდიტის აქტის სამართლებრივი სტატუსი, პასუხისმგებლობები და უფლებამოსილებანი:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მეორე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, აუდიტის აქტი წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს.

„საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, აუდიტის აქტი მისი ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს, მხოლოდ საქართველოს კონტროლის პალატაში, ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის გამზირი N96.

აუდიტის ჯგუფის ხელმოწერები:
 საქართველოს კონტროლის პალატის
 (ეკონომიკური საქმიანობის სფეროს
 აუდიტის დეპარტამენტი):


უფროსი აუდიტორი
 ჯგუფის ხელმძღვანელი
 ანა ალავერდაშვილი

 11.05.2016.
 ხელმოწერა თარიღი

აუდიტორები:
 ზვიად ლეჟავა

 11.05.2016.
 ხელმოწერა თარიღი

გიორგი კაპანაძე

 11.05.2016.
 ხელმოწერა თარიღი